თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 8

ქ.თერჯოლა 5 მაისი 2026 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. ჯემალ ისაკაძე, 3. სერგი ჯიხვაშვილი, 4. ომარ ჯიხვაშვილი, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. ნინო ოქრუაძე, 8. ზურაბ ჩხიკვაძე, 9. ლაშა ლანჩავა, 10.გოჩა ვერულაშვილი, 11. დავით გოგბერაშვილი.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 11წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282612459, 04.05.2026წ.):

   მომხს.: ზ. ჩხიკვაძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282611912, 29.04.2026წ.);

   მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ.№109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის (ქირა) ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2826124105, 04.05.2026 წ.);

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

4. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ ჩხიკვაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიუციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 134.3 ათასი ლარით და შეადგენს 35980.9 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 134.3 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 134.3 ათასი ლარით. მ/შორის:
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 84.3 ათასი ლარით (სოფ. ღვანკითი-ტელეფას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია).
საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით (სტიქიით დაზიანმებული ოჯახის კომპენსაცია).

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიუციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

2.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ ჩხიკვაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ.№109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის (ქირა) ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე) განკარგულების პროექტი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით 1 m^2 ფართის ერთი თვის საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 17ლარით. შესაბამისად 40 m^2 ფართის ერთი თვის საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება ჯამში შეადგენს 680 ლარს.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ.№109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის (ქირა) ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბიძინა ბუცხრიკიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგნილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგნილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 5 მაისის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე